სამუშაო რვეული

ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

# აღმართი

## B2

ზღვრული
განვითარებული დონე

თინათინ კილურაძე
ეკატერინე ქუთათელაძე

„აღმართი“ B2 (ზღვრული განვითარებული დონე) განკუთვნილია იმ შემსწავლელებისათვის, რომლებსაც განვითარებული აქვთ ენის დამოუკიდებლად ფლობის უნარი. ქართული ენის B2 დონეზე დაუფლების შემდეგ შემსწავლელს შეეძლება: სალიტერატურო ენის ნორმების ფარგლებში შედარებით ნაცნობ თემატიკაზე აგებული არგუმენტირებული ვრცელი მოხსენების, ლექციის, მიმდინარე მოვლენებზე რეპორტაჟისა და ახალი ამბების, ფილმების შინაარსის გაგება; ვრცელი ტექსტის სწრაფად წაკითხვა და მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოძიება; დისკუსიის დროს საკუთარი მოსაზრებების გამოთქმა, ახსნა-განმარტებებისა და კომენტარების საშუალებით არგუმენტების მოყვანა, საკუთარი თვალსაზრისის დასაბუთება და დაცვა; ალტერნატიული შეხედულებების შეფასება; თავისუფლად, მოუმზადებლად საუბარი მშობლიურ ენაზე მოლაპარაკესთან და ყველაფრის დაწვრილებით გაგება; არგუმენტირებული ესეს წერა, განსხვავებული მოსაზრებების დადებითი და უარყოფითი მხარეების წერილობით განხილვა. ეს ენის ცოდნის ის პროგრესული საფეხურია, როცა შემსწავლელს უკვე შეეძლება გაუგებრობის გამომწვევი შეცდომების გასწორება, საკუთარი მეტყველების გაკონტროლება.
სახელმძღვანელო შემსწავლელს აძლევს გრამატიკისა და ლექსიკის ცოდნას ისეთი მოცულობით, როგორიც საჭიროა ენობრივი უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის B2 დონის შესაბამისად და ამზადებს ენის ფლობის შემდეგ დონეზე სწავლის გასაგრძელებლად.

ავტორები: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე
რედაქტორი — ნატა დავითაშვილი

ილუსტრატორ-დიზაინერი — ქეთევან ლომიშვილი
მოსასმენი დავალებები გახმოვანებულია სტუდია „ანასეულის“ მიერ.

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა „ირბახის“ ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარიკა ოძელი

© 2016



გრამატიკა



ლექსიკა



წაიკითხე



ნახე



ჩაწერე



დააკვირდი



მოუსმინე



მოიფიქრე

# თავი I

## ადამიანები და მათი ცხოვრება

## ბლოკი 1

### პირადი ცხოვრება



**1** წაიკითხეთ შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 1, დავალება 3) ია ვეკუას დღიურის პირველი აბზაცი და მონიშნეთ (√) სწორი წინადადება:

ა. საქართველოში აკრძალულია პიროტექნიკის, ასაფეთქებლის შეძენა და გამოყენება. ○

ბ. ლევანმა საახალწლოდ დიდი რაოდენობით შეიძინა ასაფეთქებელი. ○

გ. ლევანი ჯარისკაცია. ○

**2** წაიკითხეთ ლექსიკონის სტატიები და მონიშნეთ, რომელ დღესასწაულებს აღნიშნავს ლევანი ფეიერვერკებით:

| | |
|---|---|
| **ბედობა**– ახალი წლის მეორე დღე – ორი იანვარი (გავრცელებული აზრით, რაც ამ დღეს დაგებედება, მთელ წელს ისე გაატარებ). ○ | **ახალი წელი** – ყოველი წლის დასაწყისი, წლის პირველი დღე, პირველი იანვარი. ○ |
| **შობა** – რელიგიური დღესასწაული ქრისტეს დაბადების აღსანიშნავად (7 იანვარი). ○ | **გიორგობა** – (რელიგიური დღესასწაული) წმინდა გიორგის სახელობის დღე (23 ნოემბერი და 6 მაისი). ○ |



**3** დააკვირდით ფრაზებში ხაზგასმულ სიტყვებს და ჩამონათვალში იპოვეთ მათი სინონიმები:

ა. როდესაც საღამოს, საცობებისგან გაცოფებული მეგობრების სტატუსებს ვკითხულობ, ვხვდები, რომ გამიმართლა.

1. გაოცებული;
2. გაბრაზებული;
3. გადაღლილი.

ბ. პირველი ორი დღე მორცხვობდა, მერე აიწყვიტა და არ გაჩერებულა.

1. გათამამდა;
2. გალამაზდა;
3. გაიზარდა.

გ. მე საერთოდ არ მგულისხმობდა.

1. საყვედურს მეუბნებოდა;
2. ჩემზე არ ამბობდა;
3. მე მწერდა.

**4** **ნიმუშის მიხედვით შეცვალეთ წინადადებები:**

მაგალითად

ია ამბობს, რედაქტორობა საინტერესოაო.

ია ამბობს, რომ რედაქტორობა საინტერესოა.

ა. მათე მაყაშვილი წუწუნებდა, ინტერნეტში კატების ფოტოები და ვიდეოები მომრავლდაო.

ბ. ლევანმა ნატო დეიდას უთხრა, ცოტა ხნით კნუტი მათხოვეთ, ვეთამაშები და დაგიბრუნებთო.

გ. იამ ინტერნეტით გაიგო, რომ „იგლზის“ გიტარისტი გარდაიცვალა.

**5** **რადიო „თავისუფლებამ“ რომ დღიურის დაწერა გთხოვოთ, თქვენ რას დაწერდით? აღწერეთ თქვენი ერთი დღის საქმიანობა:**

# ბლოკი 2

## რა გვიშლის ხელს ბედნიერებაში

**1** ბლოკში მოცემული სიტყვები დააჯგუფეთ კატეგორიების მიხედვით:

| აზრის გამოთქმა | არგუმენტის მოყვანა | მაგალითის მოყვანა |
|---|---|---|
| ...................................... | ...................................... | ...................................... |
| ...................................... | ...................................... | ...................................... |
| ...................................... | ...................................... | ...................................... |
| ...................................... | ...................................... | ...................................... |

ვთვლი, რომ …
…, რადგან ….
ვფიქრობ, რომ…
ჩემი აზრით, …
(მე) მგონია, …
… იმიტომ, რომ ...
ამის დასტურია ….
მაგალითად, ….
ამ იდეის საილუსტრაციოდ …
მიმაჩნია, რომ …

**2** გადახედეთ შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 2, დავალება 2) მოცემულ ტექსტს და იპოვეთ სიტყვების მნიშვნელობა:

**მითითება**
- ◯ რჩევა, შენიშვნა
- ◯ საყვედური, უკმაყოფილება
- ◯ თანხმობა, დადებითი პასუხი

**თვითგვემა**
- ◯ საკუთარ მიზნებზე უარის თქმა
- ◯ საკუთარი თავის ტანჯვა
- ◯ საკუთარი ცხოვრების მართვა

**დღევანდელობის შეგრძნება**
- ◯ ბედნიერების შეგრძნება
- ◯ რეალობის შეგრძნება
- ◯ მარტოობის შეგრძნება

**წინ ეღობება**
- ◯ ხელს უშლის
- ◯ ხელს უწყობს
- ◯ ხელს აფარებს

**შეგნებულად**
- ◯ ფრთხილად
- ◯ გამიზნულად
- ◯ დაუფიქრებლად

**მისწრაფება**
- ◯ მავნე, დამღუპველი აზრი
- ◯ კეთილგანწყობა
- ◯ ოცნება, მიზანი

**3** რა არის თქვენთვის ყველაზე მეტად აქტუალური და ნაკლებად აქტუალური სტატიიდან „სტერეოტიპები, რომლებიც ბედნიერებას გვპარავს"? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება და მოიყვანეთ მაგალითი:

**4** დაწერეთ რომელიმე ცნობილი ადამიანის შესახებ, რომელიც, თქვენი აზრით, ბედნიერად შეიძლება ჩაითვალოს. დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.



## ბლოკი 3

### რა არის ბედნიერება

**1** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (1.1) და შეავსეთ ტექსტი ქვემოთ მოცემული სიტყვებით. სიტყვები ჩასვით შესაბამისი ბრუნვის ფორმით:



იმუნური სისტემა

შენარჩუნება

ბედნიერების ჰორმონი

განწყობა

ენდორფინი აძლიერებს ..........................................., ხელს უწყობს ჯანმრთელობის ............................... და იწვევს ადამიანში საუკეთესო ........................ . მას ............................................ უწოდებენ.

**2** ვიდეოჩანაწერის (1.1 ) მიხედვით უპასუხეთ:

ა. რომელი ვიტამინი ამცირებს ორგანიზმში სტრესის ჰორმონებს?

ბ. რომელი პროდუქტები შეიცავს ამ ვიტამინს?

**3** **განმარტეთ ხაზგასმული სიტყვები:**

ა. სწორად შერჩეულმა საკვებმა შეიძლება უფრო მეტი ენერგიით დაგმუხტოთ.

ბ. მუსიკალური თერაპია ხელს უწყობს სტრესისა და მტკივნეული შეგრძნებების შემცირებას.

**4** **ა. გადახედეთ ქვემოთ მოცემულ ტექსტებს და იპოვეთ მოცემული ზმნების შესაბამისი სახელზმნები (საწყისი და მიმღეობა):**

შემცირდება
გაიზრდება
შენარჩუნდება
მოიმატებს



| |
|---|
| მუსიკალური თერაპია სტრესის შემცირებას უწყობს ხელს.<br>ენდორფინი ჯანმრთელობის შენარჩუნებას უწყობს ხელს.<br>მაღალსიხშირიანი ბგერითი სიგნალები სისხლში ლიმფოციტების რაოდენობის ზრდას უწყობს ხელს.<br>სპორტი ორგანიზმში ბედნიერების ჰორმონების მომატებას უწყობს ხელს. |
| მუსიკალური თერაპია კარგია სტრესის შესამცირებლად.<br>ენდორფინი საუკეთესოა ჯანმრთელობის შესანარჩუნებლად.<br>მაღალსიხშირიანი ბგერითი სიგნალები კარგია სისხლში ლიმფოციტების რაოდენობის გასაზრდელად.<br>სპორტი საუკეთესოა ორგანიზმში ბედნიერების ჰორმონების მოსამატებლად. |

**ბ. დააკვირდით სახელზმნებს და გაუსვით ხაზი საერთო ნაწილებს.**



**5** **მე-4 დავალებაში დააკვირდით სახელზმნებს და მათი მიხედვით შემდეგი ზმნებისგან აწარმოეთ საწყისები და მიმღეობები:**

| ზმნა | საწყისი | მიმღეობა |
|---|---|---|
| გასუქდება | | |
| გადიდდება | | |
| დაპატარავდება | | |

# ბლოკი 4

## თაობები და ღირებულებები

**1** გაეცანით განმარტებებს და შემოხაზეთ, რომელი მათგანი შეესაბამება ყველაზე უკეთ სიტყვას „კვლევა“:

ა. ცდა – ბიექტური სინამადვილის შემეცნების ერთ-ერთი ფორმა მეცნიერებაში. მისი მიზანია ჰიპოთეზების შემოწმება.

ბ. რომელიმე საკითხის გასაგებად, გასარკვევად შესრულებული სამუშაო; რაიმე ობიექტის მეცნიერული მიზნითა და მეთოდებით შესწავლა.

გ. იმ განზოგადებელ დებულებათა ერთობლიობა, რომლებიც ქმნის რომელიმე მეცნიერებას ან მის ერთ-ერთ დარგს; რაიმე დარგის ზოგადი, განყენებული საფუძვლები; ზოგადი, განყენებული მსჯელობა, შეხედულებები (პრაქტიკული მოქმედების საპირისპიროდ).

**2** წაიკითხეთ ტექსტი შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 4, დავალება 2) და შეადგინეთ მონაცემთა სქემები ნიმუშის მიხედვით.






**3** ა. დააკვირდით კვლევის მონაცემებსა და შექმნილ სქემებს. რომელ ღირებულებას ანიჭებენ ყველაზე მეტ და ნაკლებ მნიშვნელობას საქართველოში? როგორ ფიქრობთ, რა არის ამისი მიზეზი?

**ბ. თქვენს ქვეყანაში რომ ჩატარებულიყო მსგავსი კვლევა, ეს ღირებულებები როგორი თანამიმდევრობით იქნებოდა წარმოდგენილი? დაასაბუთეთ, რატომ ფიქრობთ ასე.**

**4** მოუსმინეთ აუდიოჩანაწერს (**1.2**) და ქვემოთ ჩამოთვლილი სტერეოტიპებიდან მიუსადაგეთ რომელი თაობისთვისაა დამახასიათებელი:



| შვილების თაობა | მშობლების თაობა |
| --- | --- |
| | |

ა. სტუმარს აუცილებლად უნდა გაუშალო სუფრა.

ბ. სტუმარს აუცილებლად უნდა შევთავაზოთ ღვინო.

გ. სტუმარს საკმარისია ყავა ან ჩაი შევთავაზოთ.

დ. საჭესთან შეიძლება ნასვამი დაჯდეთ.

**5** **დაწერეთ, რა მიზეზებით არის განპირობებული თაობებს შორის განსხვავებები ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით. დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრებები არგუმენტებითა და მაგალითებით.**



# თავი II

## ოჯახი

## ბლოკი 1

### მშობლები და შვილები



**1** ჩამოწერეთ ძირითადი ასპექტები, როგორი უნდა იყოს თქვენთვის მისაბაძი მშობელი:



**2** როგორ გესმით სიტყვათშეთანხმება „მკაცრი მშობელი“. როგორია მკაცრი მშობელი?

**3** ნახეთ გადაცემა „ჩემი ოჯახი“, ვიდეოჩანაწერი (2.1). რომელი მონაწილის მოსაზრება მოგწონთ ყველაზე მეტად? რატომ? რაში მიბაძავდით?



**4** გადაცემა (ვიდეოჩანაწერი 2.1) „ჩემი ოჯახის“ რომელი მონაწილის მოსაზრება არ მოგწონთ? რაში არ ეთანხმებით? რატომ?

**5** დაწერეთ, როგორია თქვენთვის იდეალური მშობელი. მოიყვანეთ არგუმენტები და მაგალითები (დაახლოებით 150 – 200 სიტყვა).



# ბლოკი 2

## ოჯახის განმარტება

**1** **კიდევ ერთხელ წაიკითხეთ განმარტებები ლექსიკონებიდან და მონიშნეთ (✓), რომელი ფრაზები გამოდგება ოჯახის დასახასიათებლად:**

1. ნებაყოფლობითი კავშირი;
2. სისხლით ნათესაობა;
3. მორალური ურთიერთპასუხისმგებლობა;
4. სოციალური ჯგუფი / სისტემა;
5. ერთად მცხოვრები ნათესავები.

**2** **წაიკითხეთ განმარტებები შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 2, დავალება 3) და შემოხაზეთ სწორი ფრაზები:**



1. ოჯახში მეუღლეები თანაბარი ქონებრივი უფლებებით სარგებლობენ.
2. ოჯახი ეწოდება სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად დარეგისტრირებულ წყვილს.
3. ოჯახში შეიძლება უპირატესობა მიენიჭოს მხოლოდ ერთ მეუღლეს.
4. ოჯახი შეიძლება ეწოდოს ისეთ ჯგუფს, რომელშიც მხოლოდ ერთი მშობელი და შვილია.
5. ოჯახი შეიძლება ოფიციალურად დაურეგისტრირებელ წყვილსაც ეწოდოს.

**3** **იპოვეთ პირველ სალექსიკონო სტატიაში (წიგნის დავალება 3) განმარტებები და ზეკატეგორიები შემდეგი ფრაზებისთვის:**

| | |
|---|---|
| ცოლი შეირთო | გათხოვდა |
| ცოლს გაეყარა | ქმარს გაშორდა |

**4** **დაუკავშირეთ ერთმანეთს მსგავსი მნიშვნელობის ფრაზები:**

1. სამართლებრივი თვალსაზრისით;
2. მეუღლეთა თანასწორუფლებიანობა;
3. მარტოხელა მშობელი;
4. ქონების განკარგვა.

ა. მეუღლეების თანაბარი პირადი და ქონებრივი უფლებები;
ბ. ქონების გაყიდვა, გასხვისება, გაქირავება.
გ. კანონის თანახმად;
დ. მარტო ზრდის შვილს.

**5** ლექსიკონის დახმარებით მარტივად განმარტეთ შემდეგი სიტყვები და ფრაზები:

მეუღლე

ქორწინების მოწმობა

დაქორწინება

საერთო ქონება

## ბლოკი 3

## ოჯახის განვითარების ეტაპები



**1** წაიკითხეთ ნაწყვეტი ტექსტიდან შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 3, დავალება 2) და დაწერეთ განმარტებები:

ჰომეოსტაზი

განვითარების კანონი

**2** ტექსტებზე დაყრდნობით, უპასუხეთ შეკითხვებს:

ა. რომელ ეტაპზე არის დედა ყველაზე მეტად დატვირთული საშინაო საქმეებით?

ბ. რომელ ეტაპზე უწევთ მშობლებს დამატებითი მოვალეობების თანაბრად განაწილება?

გ. რომელ ეტაპზე უწევთ მშობლებს სხვა სოციალურ სისტემასთან მჭიდრო და გრძელვადიანი თანამშრომლობა.

დ. რომელ ეტაპზე არის ყველაზე მნიშვნელოვანი ოჯახის შიდა კომუნიკაცია?

**3** **განმარტეთ ხაზგასმული სიტყვები კონტექსტიდან გამომდინარე:**

ა. ამ ეტაპზე ოჯახის თითოეულ წევრს უწევს დიდი ძალისხმევისა და მოთმინების გამოჩენა.

ბ. ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფის საკითხიც მამაზე გადადის.

გ. ოჯახის შექმნის პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ახალგაზრდა ოჯახის გამიჯვნა მშობლების ოჯახისგან.

**4** **ა. გახაზეთ ერთ-ერთი სიტყვა, რომელიც უნდა მოძებნოთ ლექსიკონში, რომ გაიგოთ შემდეგი სიტყვათშეთანხმებების მნიშვნელობები:**

პასუხისმგებლობების გადანაწილება

ურთიერთობის ჩამოყალიბება

საფრთხეს უქმნის

ყოფითი საკითხები

გავლენას ახდენს

წინა პლანზე წამოწევა

საფრთხის ქვეშ აყენებს

გამონაკლისს წარმოადგენს



ბ. მოძებნეთ ლექსიკონში გახაზული სიტყვები და განმარტეთ, რას ნიშნავს ჩამოთვლილი ფრაზები.

## 5 ა. ლექსიკონის მეშვეობით განმარტეთ შემდეგი ფრაზები:

1. კონფლიქტების მოგვარება ..........

2. მოვალეობის საკუთარ თავზე აღება..........

3. მოთმინების გამოჩენა ..........

4. ამოცანის გადაჭრა ..........

ბ. იპოვეთ ტექსტში ანალოგიური ფრაზები:

**მაგალითად**

კონფლიქტების მოგვარება – პრობლემის მოგვარება

1. მოვალეობის საკუთარ თავზე აღება ..........

2. მოთმინების გამოჩენა ..........

3. ამოცანის გადაჭრა ..........

## 6 გადახედეთ ტექსტებს წიგნში (დავალება 6) და მონიშნეთ, სწორია თუ არა შემდეგი გამონათქვამები:

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| რაც უფრო ასაკოვანია ოჯახი, მით უფრო მეტია უფროსი წევრების ავადმყოფობის ფაქტები. | | |
| ოჯახის განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე როგორც შვილების კრიზისული ასაკის, ასევე მშობლების "შუალედური ასაკის კრიზისის". | | |
| რაც უფრო ახალგაზრდაა ოჯახი, მით უფრო ნაკლებია კონტაქტი მშობლების ოჯახთან. | | |

**7** შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 3, დავალება 5) წაიკითხეთ ოჯახის განვითარების ეტაპები და მოკლედ (1-2 წინადადებით) აღწერეთ თითოეული მათგანი.



## ბლოკი 4

### ადრეული ქორწინება

**1** ა. გაეცანით ინფორმაციას საკანონმდებლო ცვლილების შესახებ. ეთანხმებით თუ არა კანონის ცლილებას? რატომ?

პირველი მოსმენით უკვე მიღებულია კანონპროექტი, რომელიც 16 წელს მიღწეულ გოგონათა ქორწინებას ეხება. ქორწინებაზე თანხმობის გაცემის უფლება აღარ ექნებათ მშობლებს – ეს საკითხი მხოლოდ სასამართლოს კომპეტენცია ხდება.

მომავალში საქართველოში 18 წლამდე ასაკის პირთა ქორწინება საერთოდ აიკრძალება.

ნაადრევი ქორწინების რიცხვით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპაში მეორე ადგილზეა მოლდავეთის შემდეგ.

**2** შეადარეთ საქართველოს კანონმდებლობა თქვენი ქვეყნის კანონმდებლობას ქორწინების ასაკთან დაკავშირებით. რაში არის მსგავსება და განსხვავება?

**3** **ა. გაეცანით სტატისტიკურ მონაცემებს საქართველოში ადრეული ქორწინების შესახებ. მოიძიეთ ანალოგიური სტატისტიკა თქვენს ქვეყანაზე/ რეგიონზე.**

საქართველოში ქორწინების საშუალო ასაკი 20-24 წელია, თუმცა ბოლო პერიოდში ძალიან გახშირდა ადრეული ქორწინების შემთხვევები. სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით, 2005 წელს საქართველოში შეიქმნა 18012 ოჯახი, აქედან 19 წლამდე ასაკის 3009 გოგონა და 724 ვაჟი დაქორწინდა, რაც ქორწინების საერთო რაოდენობის დაახლოებით 20%-ია.

**ბ. საქართველოში ქორწინების სტატისტიკური მონაცემები შეადარეთ თქვენს ქვეყანაში/ რეგიონში არსებულ სტატისტიკურ მონაცემებს. რა მსგავსება და განსხვავებაა მათ შორის?**

**4** **როგორ ფიქრობთ, არის საკანონმდებლო ცვლილება გამოსავალი, რომ ნაადრევი ქორწინება ავიცილოთ თავიდან? დაასაბუთეთ თქვენი მოსაზრება არგუმენტებით და/ან მაგალითებით.**

**5** დაწერეთ მცირე ზომის ესე საქართველოში ადრეული ქორწინების შესახებ (დაახლოებით 150 - 200 სიტყვა).





# თავი III

## პრესა

## ბლოკი 1

### ქართული მედია

**1** შეადარეთ ერთმანეთს სამი მედიაპორტალის რუბრიკები:
www.tabula.ge, www.netgazeti.ge, www.radiotavisupleba.ge

რომელი პორტალია უფრო მოსახერხებელი თქვენთვის ინფორმაციის მისაღებად? დაასაბუთეთ, რატომ:

**2** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (3.1) და დაალაგეთ საინფორმაციო ერთეულები (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 1, დავალება 4) მნიშვნელოვნების მიხედვით: გამოკვეთეთ, რომელია მათგან მთავარი აზრი, რომელი – მეორეხარისხოვანი აზრი.



**3** მარცხენა სვეტში ჩამოწერილ ფრაზებს დაუკავშირეთ მარჯვენა სვეტში მოცემული მსგავსი მნიშვნელობის ფრაზები.

| | |
|---|---|
| ბორტზე მყოფი მოქალაქეები | იმაზე, რომ უნდა გაირკვეს |
| განაცხადა | დაწერა საიტზე |
| ვებგვერდზე განცხადება გამოაქვეყნა | თქვა |
| მიმდინარეობს საომარი მოქმედებები | თვითმფრინავის მგზავრები |
| იმის თაობაზე, რომ უნდა ჩატარდეს გამოძიება | ომია |

**4** ვიდეოჩანაწერიდან (3.1) გამომდინარე, კონტექსტის გათვალისწინებით, განმარტეთ შემდეგი ფრაზები:

გარე ძალების მხარდაჭერა აშკარაა.

---

დამნაშავე ძალები სათანადოდ უნდა დაისაჯოს.

---

წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს.

---

დადგინდეს ტრაგედიის მიზეზი.

---

**5** ფრჩხილებში მოცემული სახელზმნების შესაბამისი ზმნები წინადადებებში ჩასვით მართებული ფორმით:

ა. საგარეო საქმეთა მინისტრი........ (თანაგრძნობა) ყველა ქვეყანას და მათ მთავრობებს.

ბ. პრემიერი........ (წერა) სამძიმრის წერილს დაღუპულთა ოჯახებს.

გ. ტერორისტი........ (გაგზავნა) მუქარის წერილს მთავრობას.

დ. საქართველოს პარალამენტი........ (მისამძიმრება) გარდაცვლილთა ახლობლებს.

# ბლოკი 2

## საინფორმაციო ტექსტები

**1** აირჩიეთ ტექსტი, რომელიც არ დაგიმუშავებიათ შემსწავლელის წიგნიდან (ბლოკი 2, დავალება 2) და შეადგინეთ საინფორმაციო მონაცემთა რუკა:

**2** წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ორი ტექსტი. თქვენი აზრით, რა სახის საინფორმაციო საშუალებაში შეიძლება ვნახოთ თითოეული მათგანი?



1. ..................................................................................

2. ..................................................................................

N1

### თბილისის ზოოპარკიდან მაიმუნები გაიქცნენ

2014-02-09 10:58:23

გუშინ, როდესაც ზოოპარკის თანამშრომლებს მაიმუნები ერთი ვოლიერიდან მეორე, საზაფხულო ვოლიერში შიდა გასასვლელით გადაჰყავდათ, პავიან ჰამადრილის ჯიშის ორი მაიმუნი გაექცათ.

როგორც ჩანს, გასასვლელი ცხოველებმა მანამდე დააზიანეს და სწორედ ამ დაზიანებული ადგილიდან გაიქცნენ.

თბილისის ზოოპარკის დირექტორის, ზურაბ გურიელიძის, თქმით, გაქცევისთანავე ცხოველებს დასაძინებელი პრეპარატით სავსე შპრიცები ესროლეს.

შედეგად, ერთ-ერთს ზოოპარკის ტერიტორიაზევე დაეძინა, მეორემ კი პირველი არხის ტერიტორიაზე „რუსთავი 2“-ის პავილიონში შეაღწია და იქ დაეძინა, რის შემდეგაც ის დააბრუნეს ვოლიერში.

N2 აუ, გუშინ ისეთი მაგარი ამბავი ვნახე! უნივერსიტეტიდან მოვდიოდი, შუადღე იყო, სადღაც პირველი ან ორი საათი და ტელევიზიასთან ბევრი ხალხი დავინახე. მეთქი, მიტინგია, თურმე რა მიტინგი! ზოოპარკიდან მაიმუნები გაპარულან და იმიტომ იდგნენ. ისე, რომ დაიჭირეს, შემეცოდა, სიმპატიური ვინმე იყო. ვიღაც წვერებიანი კაცი ინტერვიუს აძლევდა ტელევიზიას, დიდი ხანია, გაქცევას გეგმავდნენ და კედელი გამოანგრიესო. ორი გაქცეულა და ერთი მაშინვე დაუჭერიათ. მერე ზოოპარკში წაიყვანეს ისევ ის საწყალი და მეც წამოვედი, რაღა მეკეთებინა.

**3** კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ზემოთ მოცემული ორი ტექსტი და ამოწერეთ, რა განასხვავებს მათ ერთმანეთისგან:



| ტექსტი N1 | ტექსტი N2 |
|---|---|
| ზუსტი ინფორმაცია: 2014-02-09 10:58:23 | დაუზუსტებელი ინფორმაცია: „შუადღე იყო, სადღაც პირველი ან ორი საათი“ |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |
| | |

**4** მოიფიქრეთ ან გაიხსენეთ რაიმე ამბავი, შეადგინეთ მასზე ინფორმაციის რუკა. შემდეგ დაწერეთ ორი ტექსტი: ერთი სტატია პრესისთვის, მეორე – ახალი ამბავი მეგობრებისთვის სოციალურ ქსელში გასაზიარებლად.



ა. ______________________________

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

ბ.

**5** შეადარეთ მე-2 დავალების ტექსტები ერთმანერთს:

ა. რა წყაროს ეყრდნობა ტექსტი:

პირველ შემთხვევაში

მეორე შემთხვევაში

ბ. პირველი ტექსტიდან ამოწერეთ ხაზგასმული ზმნები და მიუწერეთ რომელი სერიის ფორმებია.

მეორე ტექსტიდან ამოწერეთ ხაზგასმული ზმნები და მიუწერეთ რომელი სერიის ფორმებია.

გ. როგორ ფიქრობთ, რატომ გამოიყენება და რას გამოხატავს თურმეობითის ფორმები მეორე ტექსტში?

**6** ა. წაიკითხეთ ნაწყვეტი ტექსტიდან და შეადგინეთ საინფორმაციო რუკა:



„შემოვარდა თურმე ნარიყალადან მომსკდარი წყალი და აბანოს მიწისქვეშა სარდაფებში შევარდნილა. შეშინებული ქალები წივილ-კივილით, თმების გლეჯითა და ლოყების ხოკვით მივარდნიან კარს და იმის ნაცვლად, თავისკენ გაეღოთ, იქეთ მისწოლიან და თვითონვე დაუგმანავთ გასასვლელი. და როდესაც სარდაფები პირამდე გაივსო შლამიანი და მღვრიე წყლით და როდესაც სარდაფებში კივილ-წივილი შემწყდარა, საშველად მოვარდნილი კაცები მიმხვდარან, რომ გოგირდის აბანოებში სიცოცხლე გათავდა...”

(ნოდარ დუმბაძე, „მარადისობის კანონი”)

ბ. როგორც ჟურნალისტმა, დაწერეთ ამბის ოფიციალური ვარიანტი ახალი ამბების გაზეთისთვის:

დამატებითი ცნობები:

| | |
|---|---|
| სად? | თბილისი, აბანოთუბანი |
| როდის? | 1956 წელი |
| რა? | წყალდიდობა |

## ბლოკი 3

### ყვითელი პრესა

**1** წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი და საჭიროების მიხედვით, შეავსეთ/შეასწორეთ ყვითელი პრესის თქვენეული განმარტება.



ეს სახელწოდება დიდი ხნის წინ დამკვიდრდა პრესაში. ყვითელ პრესაში ნებისმიერი სახის სკანდალები და იაფფასიანი სენსაციები იბეჭდება. არ გაინტერესებთ, რატომ მიაკუთვნეს მას მაინცდამაინც ყვითელი ფერი, ან რა ისტორია იმალება მის უკან? „ყვითელი პრესა“ თავდაპირველად ამერიკაში გაჩნდა. ამერიკელმა მხატვარმა და გრაფიკოსმა რიჩარდ ოუტკოლტმა 1895 წელს ნიუ-იორკის ერთ-ერთ გაზეთში სახელად – „მსოფლიო“, იუმორისტული ხასიათის ილუსტრაციების გამოქვეყნება დაიწყო, რომელსაც იუმორისტული ტექსტი ჰქონდა დართული. ნახატებში გამოსახული იყო ბიჭუნა ყვითელი პერანგით, რომელსაც სხვადასხვა სახალისო გამოთქმები და ფრაზები მიეწერებოდა. მალევე, ამ არასერიოზულმა იუმორისტულმა ნახატებმა მიიღო სახელწოდება – „ყვითელი ბიჭუნა“.

ამერიკული საზოგადოება აღფრთოვანებული იყო ამ პუბლიკაციებით. მალევე, ამერიკულმა გაზეთმა – „ნიუ-იორკ – ჟურნალმა“ გადაიბირა მხატვარი და ანალოგიური ნახატების სერიების ბეჭდვა დაიწყო. ბუნებრივია, ამ ორ გაზეთს შორის უთანხმოებამაც იფეთქა. ისინი „ყვითელი ბიჭუნას“ პირველობაზე დავობდნენ. 1896 წელს „ნიუ იორკ-პრესის“ დირექტორმა ერვინ უორდმენმა, თავის ჟურნალში კრიტიკული სტატია გამოაქვეყნა. მოცემულ სტატიაში მან ორივე კონკურენტ გაზეთს ზიზღით „ყვითელი პრესა“ უწოდა. მან დაწერა, რომ ეს გაზეთები არ ერიდებოდნენ თავიანთი უხამსი და იაფფასიანი მეთოდით პუბლიკის გადაბირებას. სწორედ ამ სტატიის გამოსვლის შემდეგ დამკვიდრდა მოცემული ფრაზა – „ყვითელი პრესა“ ჩვენს ლექსიკონში.

https://teasblogi.wordpress.com/2014/10/01

**2** კიდევ ერთხელ წაიკითხეთ ზემოთ მოცემული ტექსტი და მოუფიქრეთ სათაური.



**3** ტექტის მიხედვით აღნიშნეთ, სწორია თუ არა მოცემული წინადადებები.

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| 1. ყვითელი პრესა ლონდონიდან იღებს სათავეს. | | |
| 2. ყვითელი ბიჭუნას დახატვა ამერიკელმა მხატვარმა ერვინ უორდმენმა დაიწყო. | | |
| 3. ტერმინი „ყვითელი პრესა“ ერვინ უორდმენის სახელს უკავშირდება. | | |
| 4. ორი გაზეთი ერთმანეთს „ყვითელი ბიჭუნას“ გამო დაუპირისპირდა. | | |
| 5. ამერიკულ საზოგადოებას ძალიან მოსწონდა „ყვითელი ბიჭუნას“ პუბლიკაციები. | | |

**4** ამოწერეთ ტექსტიდან ერთი წინადადება, რომლითაც დაახასიათებთ „ყვითელ პრესას“.



## ბლოკი 4

### ჟურნალისტური ეთიკა

**1** წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტს და თქვენი სიტყვებით დაწერეთ, რას ნიშნავს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია.



| | ახალი სიტყვები |
|---|---|
| **ჟურნალისტური ეთიკის ქარტია**<br>**პრეამბულა**<br>სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება ადამიანის ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა. ჟურნალისტის ნებისმიერი პროფესიული უფლება-მოვალეობა გამომდინარეობს საზოგადოების უფლებიდან, იყოს ინფორმირებული მოვლენების შესახებ.<br>**ქარტია** ეფუძნება ევროპის საბჭოს „ადამიანის ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის" მე-10 მუხლსა და „ჟურნალისტების საერთაშორისო ფედერაციის" მიერ აღიარებულ „ჟურნალისტების ქცევის პრინციპების დეკლარაციას". ეს პრინციპები პროფესიული ქცევის სტანდარტად დამკვიდრდა იმ ჟურნალიტებისთვის, რომლებიც მოიპოვებენ, გადასცემენ და ავრცელებენ ინფორმაციასა და კომენტარებს მიმდინარე მოვლენებზე. | |

**2** ტექსტის მიხედვით, რა კავშირია ჟურნალისტსა და საზოგადოებას შორის?

**3** კიდევ ერთხელ გადახედეთ შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 4, დავალება 3) მოცემულ ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მუხლებს. აირჩიეთ ერთი-ერთი მათგანი, რომელიც თქვენთვის ყველაზე საინტერესო და მნიშვნელოვანია. დაწერეთ მისი მნიშვნელობის შესახებ. დაასაბუთეთ თქვენი აზრი არგუმენტებით.

# თავი IV

## თავისუფალი დრო: დასვენება და გართობა

### ბლოკი 1

### როგორ ვატარებთ თავისუფალ დროს?



**1** წაიკითხეთ ნაწყვეტი კვლევიდან და დააკვირდით ხაზგასმულ წინადადებებს. დაწერეთ, რომელი ფრაზებით არის გადმოცემული ქალებისა და კაცების მონაცემების

მსგავსება: ……………………

განსხვავება: ……………………..

კომპანია "ეისითის" კვლევამ აჩვენა, რომ ყოველდღიურ აქტივობებზე ქალისა და კაცის მიერ დახარჯული დრო თანაბარი არ არის. კვლევა ეყრდნობა ფოკუს ჯგუფების მონაცემებს.

ჯერჯერობით საქართველოში ორი ასეთი კვლევა ჩატარდა. ერთ-ერთი კვლევის მიხედვით, კაცებს ქალებზე ორჯერ მეტი თავისუფალი დრო აქვთ (ქალი და კაცი საქართველოში, 2006). მეორე კვლევის თანახმად, დასაქმებული ქალების 77% დამატებით 2 საათზე მეტს ხარჯავს სახლის საქმეებზე.

ქალების მიერ შესრულებული უსასყიდლო სამუშაოს ოდენობა კაცების მიერ შესრულებულთან შედარებით დიდია, კერძოდ, 13-ჯერ აღემატება. ფოკუს ჯგუფის მონაწილე ქალებისა და კაცების მიერ ცალ-ცალკე შევსებული დროის ცხრილი საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის. ყველა რეგიონში ქალები ჩართული არიან იმ საოჯახო საქმეების შესრულებაში, რომლებსაც კაცები არ ასრულებენ. ამავდროულად, დამატებით ქალები მსხვილფეხა საქონელსაც უვლიან. ქალებისაგან განსხვავებით, კაცებს ავალიათ გარკვეული საქმეები ოჯახში. ესენია: ზამთრისთვის შეშის შეგროვება ან სახლში დაზიანებული ნივთების შეკეთება.

დღის განმავლობაში შრომაზე დახარჯული საათების რაოდენობა რეგიონების მიხედვით განსხვავდება. სამეგრელოში განსხვავება ქალისა და კაცის მიერ დახარჯულ დროს შორის ორსაათ-ნახევარია, ქვემო ქართლში – 3 საათი, აჭარაში – სამსაათ-ნახევარი, სამცხე-ჯავახეთში – 4 საათი, ხოლო კახეთში – 8 საათი. კაცები ქალებზე მეტს მხოლოდ შიდა ქართლში შრომობენ, სადაც განსხვავება 2 საათს უდრის. კვლევის შედეგებიდან გამომდინარე დასკვნა ასეთია: წლის განმავლობაში კაცები ქალებთან შედარებით ოდნავ უფრო მეტ სამუშაო დღეს ხარჯავენ სასოფლო-სამეურნეო აქტივობებზე (98.15), ვიდრე ქალები (84.29). თუმცა მონაცემები რეგიონების მიხედვით განსხვავდება: აჭარაში ქალები უფრო მეტ დღეს (92.2) მუშაობენ, ვიდრე კაცები (85.5).

სხვა რეგიონებში კი კაცები თითქმის ისევე შრომობენ, როგორც ქალები. კახეთში კაცები გაცილებით მეტ დღეს (91.34) შრომობენ, ვიდრე ქალები (54.76). ყველაზე დიდი განსხვავება კი შიდა ქართლში დაფიქსირდა, სადაც კაცები წელიწადში 146.86 დღეს შრომობენ, ხოლო ქალები – 88.45 დღეს .



**2** დააჯგუფეთ მსგავსებისა და განსხვავების გამომხატველი ფრაზები ცხრილში:

პირიქით

ისევე, როგორც...

მაშინ, როცა...

-ისგან განსხვავებით

ასევე

-ის მსგავსად

-ც...

როგორც..., ასევე ....

-თან შედარებით უფრო...

| განსხვავების გამოხატვა | მსგავსების გამოხატვა |
|---|---|
| | |

**3** დააკვირდით შემსწავლელის წიგნში (ბლოკი1, დავალება 2) მოცემულ სტატისტიკურ მონაცემებს და აღწერეთ მსგავსება-განსხვავებები თბილისისა და რეგიონების მცხოვრებთა შორის.



**4** ჩაატარეთ მცირე კვლევა, ჰკითხეთ თქვენს ახლობლებს (ქალაქისა და სოფლის მცხოვრებლებს, ქალებსა და კაცებს), როგორ ანაწილებენ დროს. გააკეთეთ თქვენი სტატისტიკა და მოიფიქრეთ, რით არის განპირობებული დროის ასეთი განაწილება?

**5** თქვენთვის აუცილებელი და სასურველი მოქმედებებით შეავსეთ ცხრილი პირველ პირში:

| აუცილებელი მოქმედება | სასურველი მოქმედება |
|---|---|
| | |

**6** შეავსეთ სასურველი, მაგრამ არმომხდარი მოქმედების გამომხატველი ზმნის ფორმები ნაცვალსახელებით ან ზმნური ფორმებით:

……… მემოგზაურა

შენ ……………..

მას ……………….

ჩვენ ……………..

თქვენ ……………..

………. ემოგზაურათ

**7** დაწერეთ, მეტი თავისუფალი დრო რომ გქონოდათ, რა შეგეძლოთ გაგეკეთებინათ და არ გაგიკეთებიათ (გამოიყენეთ სასურველი, მაგრამ არმომხდარი მოქმედებების გამომხატველი ფორმები).



## ბლოკი 2

### დაკარგული თამაშები

**1** დაწერეთ, თამაშობდით თუ არა ეზოში? რომელი თამაში უფრო მოგწონდათ და რატომ?



**2** გადაიკითხეთ შემსწავლელის წიგნში (ბლოკი2, დავალება 3) ტექსტი და მონიშნეთ, რას შეიძლება ნიშნავდეს:

ერთი იყო თენეიშვილი, იმას ვერცერთი კაცი ვერ ეწეოდა, ცხენს ასწრებდა. ცხენზე <u>ენიძლავებოდა</u> ხალხს და უგებდა კიდეც.

ა. ცხენს ეჯიბრებოდა სირბილში;
ბ. ყველაზე ძლიერ მოთამაშეს ეჯიბრებოდა ცხენით;
გ. თუ მოიგებდა, წაგებული ცხენს მისცემდა.

**3** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (4.3 ა) და ამონიშნეთ რომელი ფრაზა რომელ სურათს შეესაბამება.

| |  |  |  |  |
|---|---|---|---|---|
| მისი საყვარელი თამაში იყო ომობანა. | | | | |
| ბავშვობაში ეზოდან ამოსვლა არ უნდოდა. | | | | |
| ცდილობს ბავშვობის გამოცდილება გაუზიაროს შვილებს. | | | | |
| მოსწონდა ეზოში ბევრ ბავშვთან ერთად ყოფნა და ათასგვარი თამაში. | | | | |
| ბავშვებს კომპიუტერთან ურთიერთობის დროს გარკვეულ ლიმიტს უწესებს. | | | | |
| მისი დისშვილი კომპიუტერს არ სცილდება. | | | | |

**4** **ა. ნახეთ ვიდეოჩანაწერი (4.3 ბ) და შეავსეთ გრაფა გადაცემის წამყვანების მიერ გამოთქმული მოსაზრებებით.**



| ძველი თამაშების დადებითი მხარეები: | თანამედროვე თამაშების დადებითი მხარეები: |
|---|---|
| | |

ბ. დაიყავით ჯგუფებად და მეოთხე დავალების ცხრილი შეავსეთ თქვენი არგუმენტებით.

## ბლოკი 3

## ტურისტული მომსახურება საქართველოში

**1** ცხრილში გამოტოვებული ადგილები შეავსეთ ზმნების შესაბამისი ფორმით:

| მეორე კავშირებითი | მეორე თურმეობითი |
|---|---|
| დავხარჯო | |
| | ევარჯიშა |
| დავთვალო | |
| | ჩაგვეტარებინა |

**2** წაიკითხეთ წინადადებები და შეავსეთ გამოტოვებული ადგილები:



როგორც ………., ასევე   …… მაშინ, როცა ……   ……. – თან შედარებით   უფრო

ა. აჭარის რეგიონის ტურისტული დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით 2014 წლის ტურისტული ზრდის მაჩვენებელ ………. , 2015 წლის სტატისტიკური მაჩვენებელი …………… გაიზარდა.

ბ. მოსახლეობის გამოკითხვის მიხედვით საზღვაო კურორტებიდან საქართველოში პოპულარულ დასასვენებლ ადგილად ითვლება ანაკლია და ქობულეთი ………., ………… უცხოელი ტურისტების აზრით, გონიოსა და კვარიათში საუკეთესო პლაჟები და ჰავაა.

გ. ტურისტული კომპანიები გვთავაზობენ ………. ჯგუფურ, ………. ინდივიდუალურ ტურებს.

**3** ა. ჩამოწერეთ დასვენებისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორები:



კეთილმოწყობილი სასტუმრო;

გართობის შესაძლებლობა;

ადგილობრივი მოსახლეობის კეთილგანწყობა.

ბ. ჩამოთვლილი ფაქტორები დანომრეთ იმის მიხედვით, თუ რომელს აქცევთ მეტ ყურადღებას. ისაუბრეთ, რატომ არის ესა თუ ის ფაქტორი უფრო მნიშვნელოვანი.

**4** დაწერეთ თქვენი აზრი: რა ფაქტორებმა შეიძლება შეუწყოს ხელი ადგილობრივი ტურიზმის განვითარებას?



______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

**5** გამოიყენეთ ქვემოთ მოცემული ფრაზები და დაწერეთ, რას გვიჩვენებს შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 3) მეხუთე დავალების სქემა:



გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ აფხაზეთში ..............................................

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სამეგრელოში ..............................................

განაწილებული მაჩვენებლების მიხედვით ჩანს, რომ მცხეთა-მთიანეთში ..............................

მოცემული სქემის მიხედვით, გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა ..............................

**6** შემსწავლელის წიგნის (ბლიკი 3, დავალება 6 ბ) მიხედვით დაწერეთ რეგიონებისთვის ტურისტული პოტენციალის ზრდის როგორც ხელშემწყობი, ისე ხელის შემშლელი ფაქტორები:



______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

______________________________________________

**7** როგორ ფიქრობთ, თქვენს რეგიონში არის საკმარისი პოტენციური რესურსები იმისთვის, რომ ის იქცეს ტურისტებისთვის მიმზიდველ ადგილად? შეაფასეთ თქვენი რეგიონი შემდეგი კატეგორიების მიხედვით:

ტრანსპორტი ______________________________________

______________________________________________

______________________________________________

დანახარჯები ______________________________________

______________________________________________

______________________________________________

საკურორტო მახასიათებლები

## ბლოკი 4

# ინდივიდუალური თუ ჯგუფური ტურიზმი?

**1** გამოჰკითხეთ ერთმანეთს, როგორ გირჩევნიათ მოგზაურობა: ტურისტულ ჯგუფთან ერთად ტურისტული ბიუროს მარშრუტით თუ ინდივიდუალურად?

**2** აღწერეთ, რას გულისხმობს თანამედროვე და მოდერნიზებული სისტემა, რომელზეც ვიდეოჩანაწერში (4.2) საუბრობენ:

**3** რომელ დამატებით სერვისებზეა საუბარი ვიდეოჩანაწერში (4.2). თქვენთვის რომელი მათგანია უფრო პრიორიტეტული და რატომ?

**4** რას გულისხმობს კულტურული ტურიზმი? დაწერეთ, არის თუ არა თქვენთვის მნიშვნელოვანი, ტურისტულ პაკეტში შედიოდეს ამ ტიპის მომსახურებაც, რატომ?

**5** მოსმენილი ინფორმაციიდან (ვიდეოჩანაწერი 4.2) გამომდინარე, თქვენი აზრით, ტურის დაგეგმვის დროს რა მნიშვნელოვანი ფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ?



# თავი V

## მუსიკა, სიმღერა, ცეკვა

## ბლოკი 1

### მუსიკოსი



**1** წაიკითხეთ ტექსტი შემსწავლელის წიგნიდან (ბლოკი 1, დავალება 2) და დაწერეთ, რომელი მუსიკოსის მიმართ გაგაჩნიათ სიმპათია ან ანტიპათია:

**2** როგორ ფიქრობთ, როგორი დამოკიდებულება ჰქონდა ტუჩის გარმონზე დამკვრელ მუსიკოსს მევიოლინის მიმართ?

**3** ლექსიკონის დახმარებით განმარტეთ შემდეგი სიტყვები და დაწერეთ შესაბამისი ზმნები :



- წრიპინი ..............................................................................
- ჩხავილი ..............................................................................
- წრუპუნი ..............................................................................

**4** წაიკითხეთ ტექსტი (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 1, დავალება 2) და კონტექსტის მიხედვით განმარტეთ შემდეგი ფრაზები:



- გააჭირა საქმე ______________________________
- აღარაა მისგან საშველი ______________________________
- თუ ღმერთი გწამს ______________________________
- ნუ წაიღე ყურები ______________________________
- კიდევ კარგი ______________________________

**5** წაიკითხეთ ისტორიის დასასრული და შეადარეთ ავტორისა და თქვენი (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 1, დავალება 7) ვერსიები. დაწერეთ რითი ჰგავს ისინი ერთმანეთს და რითი განსხვავდება?

მე ავედი მასთან და მორიდებულად დავაკაკუნე კარებზე. კარები მუსიკოსმა გააღო. მე შევედი ოთახში და ჩამოვჯექი სკამზე. ცოტა ხანს ჩუმად ვიყავით. ,,დაუკარით რამე, რა...“ – ვუთხარი მე. ,, მე არ მეგონა,“- თქვა მუსიკოსმა, – ,,რომ გაწუხებდით თქვენ... ალბათ იმიტომ, რომ ყველა ინსტრუმენტი მიყვარს“. ,,დაუკარით, რა,“- გავუმეორე მე. ,,ორივე ხელი რომ მქონდეს, ვიოლინოზე დავუკრავდი“, – თქვა მუსიკოსმა.

ჩვენ დიდხანს ვისხედით ჩუმად.

,,მე არ შემიძლია არ დავუკრა“,- თქვა მუსიკოსმა. – ,,მე ძალიან მიყვარს მუსიკა. ისეთი კი არა, რომელსაც უსმენენ... ისეთი, რომელსაც თვითონ ჰქმნი“... მან დახედა ინსტრუმენტს: ,,ეს ერთადერთი ინსტრუმენტია, რომელზეც შეუძლია დაუკრას ცალხელა კაცმა“.

,,დაუკარით, რა“, – კიდევ ვთქვი მე.

მუსიკოსმა აიღო გარმონი, მიიტანა ტუჩებთან და ჩაჰბერა. მუსიკოსი უკრავდა ნაღვლიან მელოდიას. უკრავდა გრძელი ჩაბერვებით. შესუნთქვის დროს ქრებოდა დიდი ძარღვი კისერზე, მკრთალი ძარღვი შუბლზე. მერე ისევ ჩაბერავდა და... ისევ იბერებოდა კისერზე დიდი ძარღვი, ისევ ჩნდებოდა წვრილი ძარღვი შუბლზე... ეს არ იყო ,,წრუპუნი“, არც ,,ჩხავილი“ და ,,წრიპინი“. ეს იყო ლამაზი ნაღვლიანი მელოდია და მე მომეჩვენა, რომ ეს იყო მელოდია მეორე ხელზე.

______________________________

______________________________

______________________________

______________________________

**6** რატომ იყო მეორე მუსიკოსის დაკრული მუსიკა უჩვეულო მეზობლებისთვის? დაასახელეთ მინიმუმ ორი მიზეზი:

______________________________

______________________________

## ბლოკი 2

# თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი



**1** მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (5.1) და დაწერეთ, როგორ ახასიათებენ ფრანგულ პრესაში თბილისის ოპერისა და ბალეტის პირველ შენობას?



**2** ვიდეოჩანაწერისა (5.1) და დამატებითი ინფორმაციის დახმარებით (მაგალითად, ინფორმაცია მოიძიეთ ინტერნეტში...) დაწერეთ, რას ნიშნავს:

ა. მავრიტანული სტილი

ბ. ფსევდო-მავრიტანული სტილი

**3** რატომ იყო ქობულაძის ფარდა განსაკუთრებული?



**4** მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (5.1) და კონტექსტის მიხედვით ახსენით შემდეგი სიტყვების მნიშვნელობა.

ა. თვალწარმტაცი

ბ. კულტურული მემკვიდრეობის უმნიშვნელოვანესი ძეგლი

გ. დაუძინებელი მტერი

დ. საფუძვლიანად გადაკეთდა

ე. ფართოდ გაშლის ხელებს

## ბლოკი 3

## თანამედროვე ქართველი მუსიკოსები

**1** წაიკითხეთ ტექსტის ( შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 3, დავალება 2) მე-2 და მე-3 აბზაცები და დაწერეთ, რა განსხვავებაა ეთნოგრაფიულ მუსიკასა და სოციალურად აქტიურ მუსიკას შორის:



**2** ა. თქვენ როგორ მუსიკას ანიჭებთ უპირატესობას?

მე უპირატესობას ვანიჭებ..., იმიტომ, რომ...

ბ. იზიარებთ თუ არა ირაკლი ჩარკვიანის აზრს მუსიკასთან დაკავშირებით? რატომ?

შეგიძლიათ გამოიყენოთ შემდეგი ფრაზები:

მე ვიზიარებ/არ ვიზიარებ ირაკლი ჩარკვიანის აზრს მუსიკასთან დაკავშირებით, რადგან.../ იმიტომ, რომ

**3** თქვენ რომ მუსიკოსი იყოთ, რა იქნებოდა თქვენი მთავარი გზავნილი მსმენელებისთვის:

**4** რას ფიქრობს ავტორი ირაკლი ჩარკვიანსა და მის შემოქმედებაზე?

**5** ქვემოთ მოცემული ფრაზები ჩაწერეთ ცხრილის შესაბამის გრაფებში:

ვეთანხმები | არ ვეთანხმები | ნაწილობრივ ვეთანხმები

ერთი მხრივ ვეთანხმები, მეორე მხირვ - არა | არ ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას

ვეწინააღმდეგები თქვენს აზრს | ვფიქრობ, თქვენ ცდებით | ვფიქრობ, თქვენ მართალი ხართ

ნაწილობრივ ვიზიარებ თქვენს შეხედულებას

კატეგორიულად ვეწინააღმდეგები თქვენს ხედვას ამ საკითხთან დაკავშირებით

| დათანხმება | ნაწილობრივ დათანხმება | უარყოფა |
|---|---|---|
| | | |

## ბლოკი 4



### სუხიშვილები

**1** **თქვენი აზრით, რამ განაპირობა „სუხიშვილების“ ანსამბლის ასეთი წარმატება?**

**2** **განმარტეთ, რას ნიშნავს ფრაზა – „ამავე გზით“ შემდეგ აბზაცში:**

„ამავე გზით, ილიკო სუხიშვილმა და ნინო რამიშვილმა გადაარჩინეს და შეინარჩუნეს ის, რაც დღეს ქართველისთვის ყველაზე საამაყო და იდენტობის განუყოფელი ნაწილია: ქართული ცეკვა“.

**3** **შეცვალეთ წინადადებები ისე, რომ არ გამოიყენოთ მონიშნული კავშირები:**

ა. **ისევე, როგორც** მე-19 საუკუნის ინგლისში მივიწყებას ეძლეოდა საშობაო ტრადიციები და რომ არა დიდი მწერლის, ჩარლზ დიკენსის საშობაო ნოველა, „საშობაო სიმღერა“, შესაძლოა, ევროპაში სულაც არ ყოფილიყო შობა ისეთი მოვლენა, როგორიც დღეს არის.

ბ. სუხიშვილი დღეს ეს **ისეთივე** ბრენდია, **როგორიც**, მაგალითად, სახელგანთქმული ავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია „ფორდი“.

გ. ისეთი სახე მისცეს ეთნიკურ ცეკვებს, რომ მათ **არა მარტო** ეთნოგრაფებში, **არამედ** ხალხშიც გამოეწვია აღტაცება.



**4** **დაწერეთ შემდეგი წინადადებები თქვენი სიტყვებით. არ გამოიყენოთ მონიშნული ფრაზები:**

ა. ცოტა თუ დაფიქრებულა, რომ **თუ არა** ილიკოსა და ნინოს ძალისხმევა 1930-1940-იან წლებში, ძნელი სათქმელია, **რა ბედი ეწეოდა** ამ საამაყო ეროვნულ ფენომენს – ქართულ ცეკვას.

ბ. კომპიუტერულ ინდუსტრიაში სტივის უდიდესი **დამსახურება ის იყო**, რომ კომპიუტერი ნერდებს **გამოაცალა ხელიდან** და ხალხს მისცა.

**5** **გამოიყენეთ მოცემული ფრაზები და დაწერეთ თქვენი მოსაზრება, რატომ არის მნიშვნელოვანი ქვეყნის კულტურისთვის ფოლკლორის ხალხისთვის გასაგებ ენაზე მიწოდება. გამოიყენეთ შემდეგი ფრაზები:**

უპირველეს ყოვლისა, .... იმიტომ, რომ .... ამას გარდა, .... ამასთან, .... რადგანაც, .... ერთი მხრივ, მეორე მხრივ, .... დასასრულ, .... ბოლოს ....

# თავი VI

## საქართველო და მისი ეთნოსები

### ბლოკი 1

## ყველაზე მრავალრიცხოვანი ეთნოსები საქართველოში

**1** რა შეიძლება იყოს იმისი მიზეზი, რომ ეთნიკური უმცირესობები არ ფლობენ ქართულ ენას?

**2** წაიკითხეთ ქვემოთ მოცეული ტექსტი და უპასუხეთ, რატომ არ იყო ქართული ენა აქტუალური ეთნიკური უმცირესობებისთვის მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე.

**აზერბაიჯანელები** ცხოვრობენ სამხრეთ კავკასიის აღმოსავლეთ ნაწილში, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. ისინი აგრეთვე კომპაქტურად არიან დასახლებული საქართველოში (ქვემო ქართლში, კახეთში), დაღესტანში, ირანში. მათ საქართველოში ჩამოსახლების თავისებური ისტორია აქვთ.

საქართველოში აზერბაიჯანელი მოსახლეობის რაოდენობა განსაკუთრებით გაიზარდა XX საუკუნის მეორე ნახევარში და გაუსწრო საქართველოში მცხოვრებ ყველა დანარჩენ ეთნიკურ ჯგუფს.

საქართველოს სტატისტიკის დეპარტამენტის მიერ ჩატარებული მოსახლეობის აღწერის ბოლო მონაცემებით, ეროვნული უმცირესობები მოსახლეობის საერთო რაოდენობის 16,2%-ს შეადგენენ. ყველაზე დიდ ეთნიკურ ჯგუფს საქართველოში (6,6%) აზერბაიჯანელები წარმოადგენენ, რომლებიც კომპაქტურად ქვემო ქართლში ცხოვრობენ.

აზერბაიჯანელების თვითმყოფადობისა და კულტურის შენარჩუნებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს საქართველოში მოქმედი აზერბაიჯანულენოვანი სკოლები, აზერბაიჯანული კულტურის სახლი, ფოლკლორული ანსამბლები, აზერბაიჯანელი საზოგადო მოღვაწეების – მირზა ფათალი ახუნდოვის, ნარიმან ნარიმანოვის, ჯალილ მამედყულიზადეს – სახლ-მუზეუმები. ფუნქციონირებს არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აზერბაიჯანელთა კულტურული ცხოვრების განვითარებაზე ზრუნავენ. თბილისში მოქმედებს აზერბაიჯანული კულტურის ცენტრი და თბილისის სახელმწიფო აზერბაიჯანული თეატრი.

როგორც ისტორიიდან არის ცნობილი, საქართველოში სომხები ძირითადად XVI საუკუნიდან ჩამოსახლდნენ. ეს ის პერიოდია, როდესაც მტრისაგან შევიწროებული სომხები სამშობლოს ტოვებდნენ და უცხო ქვეყნებს აფარებდნენ თავს. საქართველო, ამ მხრივ, სომხებისათვის ყველაზე ახლო მყოფი ქვეყანა იყო, სადაც მათ თავისუფლად შეეძლოთ ცხოვრება. საქართველოში არასდროს არც ეროვნული, არც სარწმუნეობრივი დევნა არ ყოფილა.

დღესდღეობით სომხები საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში ცხოვრობენ. მათი კომპაქტური დასახლებებიდან განსაკუთრებით გამოირჩევა სამხრეთ საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული პროვინცია სამცხე-ჯავახეთი.

ჯავახეთში მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ არ იცის ქართული ენა. რუსულმა ენამ კი, რომელიც საბჭოთა პერიოდში სხვა ეთნიკურ ჯგუფებთან კომუნიკაციის ერთადერთი ენა იყო, 1990-იან წლებში მნიშვნელოვნად დაკარგა საკომუნიკაციო ენის ფუნქცია. საბჭოთა მემკვიდრეობისა და განათლების სისტემაში წლების განმავლობაში არსებული ხარვეზების გამო ადგილობრივი მოსახლეობა მხოლოდ სომხურად ან რუსულად საუბრობს. 1990-იანი წლებიდან მოყოლებული ქართული ენის შესწავლის საკითხი ინტეგრაციის პოლიტიკის მთავარი ამოცანა იყო, თუმცა სახელმწიფოს მხრიდან, ამ მხრივ, გადადგმული ნაბიჯები მოკრძალებული და არაეფექტური აღმოჩნდა. არაქართული წარმოშობის მოსახლეობისთვის ქართული ენის სასწავლებლად განათლების სისტემაში ბოლო დროს განხორციელებული რეფორმები კი მხოლოდ წლების შემდეგ გამოიღებს დადებით შედეგებს. ჯავახეთის სომხური მოსახლეობისაგან განსხვავებით, თბილისში მცხოვრებმა სომხებმა მეტ-ნაკლებად იციან სახელმწიფო ენა, რაც განპირობებულია იმით, რომ თბილისში სომხებს ყოველდღიურ, ყოფით თუ პროფესიულ დონეზე, ურთიერთობა უწევთ ქართულენოვან მოსახლეობასთან.

წყარო:http://somxebi.blogspot.com/http://pmmg.org.ge/res/uploads/Etnosebi_Saqartveloshi.pdf

**3** წაკითხული ინფორმაციის (დავალება1) გათვალისწინებით ჩამოთვალეთ მიზეზები, რატომ ვერ ფლობენ სათანადოდ ეთნიკური უმცირესობები სახელმწიფო ენას (დაამატეთ საკუთარი არგუმენტები).

**4** როგორ ფიქრობთ, რა იგულისხმება შემდეგ ფრაზებში: მოიშველიეთ კონტექსტი წიგნიდან (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 1, დავალება 1) და მოიყვანეთ მაგალითები:

ა. ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერება

ბ. კონსტიტუციით მინიჭებული უფლება

გ. სრულფასოვანი მოქალაქე

**5** წაკითხული ტექსტიდან (დავალება 2) გამომდინარე, დაწერეთ თქვენი მოსაზრება: რა უნდა გაკეთდეს საქართველოში იმისთვის, რომ ეთნიკური / ეროვნული უმცირესობები უკეთესად იყოს ინტეგრირებული სამოქალაქო საზოგადოებაში:



## ბლოკი 2

### გერმანელები საქართველოში



**1** ნახეთ ვიდეოჩანაწერი (6.1) და აღწერეთ, რა პირობებით (შეღავათებით) სარგებლობდნენ საქართველოში გერმანელები და როგორ ცხოვრობდნენ?

**2** რომელი რელიგიის წარმომადგენლები იყვნენ საქართველოში ჩამოსახლებული გერმანელი კოლონისტები (ვიდეოჩანაწერი 6.1) და რომელ რელიგიურ ნაგებობაზეა საუბარი ვიდეოში?

**3** აღწერეთ გერმანული არქიტექტურის დამახასიათბელი ნიშნები (ვიდეოჩანაწერი 6.1 გ) ბოლნისში:

**4** ვიდეოჩანაწერის (6.1 დ) მიხედვით, განმარტეთ შემდეგი სიტყვები და აღწერეთ მათი ფუნქციები:

კირხა

მარანი

სხვენი

**5** თქვენი აზრით, როგორ განვითარდებოდა საქართველო გერმანელი კოლონისტების გარეშე? რა იქნებოდა დღეს განსხვავებული?



# ბლოკი 3

## ქართველი ებრაელები

**1** რითი განსხვავდებოდნენ ქართველი ებრაელები ევროპელი ებრაელებისგან? (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 3, დავალება 2)

**2** რა არის პარადოქსი, რომელზეც პასუხი არ აქვს ლელა წიწუაშვილს?

**3** მოუსმინეთ ვიდეოჩანაწერს (6.2 ა) და გაარკვიეთ, რა კავშირია თორასა და ბროწეულს შორის?



**4** განმარტეთ შემდეგი ფრაზები კონტექსტის მიხედვით (შემსწავლელის წიგნი, ბლოკი 3, დავალება 2):

ა. წნეხის ქვეშ ყოფნა

ბ. მშრალი ინფორმაცია

გ. წერტილი არ დამისვამს

# ბლოკი 4

## მულტიკულტურალიზმი

**1** ა. გადახედეთ ტექსტს შემსწავლელის წიგნში (ბლოკი 4, დავალება 2). ავტორის აზრით, ამერიკისგან განსხვავებით, რატომ არის მულტიკულტურალიზმი პრობლემური ევროპაში?

ბ. ეთანხმებით თუ არა ავტორის მოსაზრებას? მოიყვანეთ არგუმენტები:

**2** ა. დააკვირდით ტექსტში მოცემულ ტერმინებს „სასალათე ჯამი“ და „მოსახარში ქვაბი“ და განმარტეთ ისინი თქვენი სიტყვებით:



ბ. რომელი მოდელი უფრო მისაღებია თქვენთვის: „სასალათე ჯამი“ თუ „მოსახარში ქვაბი“? მოიყვანეთ არგუმენტები:

**3** წინა ბლოკებში მიღებული ინფორმაციის მიხედვით, როგორ ფიქრობთ, საქართველოს რომელი ტერმინი მიესადაგება უფრო მეტად: „სასალათე ჯამი“ და „მოსახარში ქვაბი“?

**4** თქვენი აზრით, თავსებადია თუ არა ერთმანეთთან მულტიკულტურალიზმი და დემოკრატია?

**5** ეთნიკური მრავალფეროვნება ქმნის ქვეყნის სიძლიერეს.

არგუმენტირებული მსჯელობით დაეთანხმეთ ამ მოსაზრებას ან უარყავით იგი.

# პასუხები

## თავი I

### ბლოკი 1

**1.**

ა. საქართველოში აკრძალულია პიროტექნიკის, ასაფეთქებელი პროდუქციის შეძენა და გამოყენება. ◯

ბ. ლევანმა საახალწლოდ დიდი რაოდენობით შეიძინა ასაფეთქებელი პროდუქცია. ✓

გ. ლევანი ჯარისკაცია. ◯

**2.**

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ბედობა | √ | ახალი წელი | √ | შობა | √ | გიორგობა | |

**3.**

ა. – 2 ბ. – 1 გ. – 2

**4.**

ა. მათე მაყაშვილი წუწუნებდა, რომ ინტერნეტში კატების ფოტოები და ვიდეოები მომრავლდა.

ბ. ლევანმა ნატო დეიდას უთხრა, რომ ცოტა ხნით კნუტი მათხოვეთ, ვეთამაშები და დაგიბრუნებთ.

გ. იამ ინტერნეტით გაიგო, რომ „იგლზის" გიტარისტი გარდაიცვალაო.

### ბლოკი 2

**1.**

**აზრის გამოთქმა:** ვთვლი, რომ.../ ვფიქრობ, რომ... /ჩემი აზრით.../(მე) მგონია, რომ ..../ მიმაჩნია, რომ

**არგუმენტის მოყვანა:** ..., რადგან ..../ ... იმიტომ, რომ... /ამის დასტურია...

**მაგალითის მოყვანა:** მაგალითად, ...../ამ იდეის საილუსტრაციოდ ...

**2.**

**მითითება**
- ✓ რჩევა, შენიშვნა
- ◯ საყვედური, უკმაყოფილება
- ◯ თანხმობა, დადებითი პასუხი

**თვითგვემა**
- ◯ საკუთარ მიზნებზე უარის თქმა
- ✓ საკუთარი თავის ტანჯვა
- ◯ საკუთარი ცხოვრების მართვა

**დღევანდელობის შეგრძნება**
- ◯ ბედნიერების შეგრძნება
- ✓ რეალობის შეგრძნება
- ◯ მარტოობის შეგრძნება

**წინ ეღობება**
- ✓ ხელს უშლის
- ◯ ხელს უწყობს
- ◯ ხელს აფარებს

**შეგნებულად**
- ◯ ფრთხილად
- ✓ გამიზნულად
- ◯ დაუფიქრებლად

**მისწრაფება**
- ◯ მავნე, დამღუპველი აზრი
- ◯ კეთილგანწყობა
- ✓ ოცნება, მიზანი

### ბლოკი 3

**1.**

ენდორფინი აძლიერებს იმუნურ სისტემას, ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებას და იწვევს ადამიანში საუკეთესო განწყობას, მას ბედნიერების ჰორმონს უწოდებენ.

**2.**

ა. C ვიტამინი.

ბ. მწვანე ჩაი, მოცვი.

**3.**

ა. უფრო აძლიერებს, მეტად აქტიური ხდება;

ბ. ეხმარება.

**4.**

ა. შემცირდება – შემცირება;
გაიზრდება – გაზრდა;
შენარჩუნდება – შენარჩუნება;
მოიმატებს – მომატება.

ბ. შემცირება, შენარჩუნება, მომატება.

**5.**

| საწყისი | მიმღეობა |
|---|---|
| გასუქება | გასუქებული |
| გადიდება | გადიდებული |
| დაპატარავება | დაპატარავებული |

**ბლოკი 4**

**1.**

ბ.

**4.**

| შვილების თაობა | მშობლების თაობა |
|---|---|
| გ. | ა; |
| | ბ; |
| | დ. |

# თავი II

**ბლოკი 1**

**1.**

1. უგებდეს შვილს;
2. არ ახდენდეს მასზე ზეწოლას;
3. არ ერეოდეს მის პირად ცხოვრებაში;
4. აძევდეს რჩევებს ( ზომიერად);
5. იყოს მოსიყვარულე;
6. შეეძლოს შვილის მოსმენა.

**2.**

მკაცრია მშობელი, რომელიც ზედმეტად აკონტროლებს შვილს, ერევა მის ცხოვრებაში, არ აძლევს გადაწყვეტილების მიღების საშუალებას. მუდმივად აკრიტიკებს.

**ბლოკი 2**

**1.**

| | |
|---|---|
| ნებაყოფლობითი კავშირი; | √ |
| სისხლით ნათესაობა; | √ |
| მორალური ურთიერთპასუხისმგებლობა; | |
| სოციალური ჯგუფი/სისტემა; | √ |
| ერთად მცხოვრები ნათესავები. | √ |

**2.**

1; 4.

**3.**

| ოჯახს მოეკიდა | ოჯახი დაანგრია |
|---|---|
| ცოლი შეირთო | ცოლს გაეყარა |
| გათხოვდა | ქმარს გაშორდა |

**4.**

1 – გ; 2 – ა; 3 – დ; 4 – ბ.

**5.**

**მეუღლე** – ცოლი ქმრისათვის, ქმარი – ცოლისათვის.

**ქორწინების მოწმობა** – ოფიციალური დოკუმენტი, ცნობა, რომელიც ადასტურებს ქორწინებას.

**დაქორწინება** – ცოლის შერთვა, ან გათხოვება.

**საერთო ქონება** – ქონება, რომელსაც ფლობს როგორც ცოლი, ასევე ქმარი.

## ბლოკი 3

**1.**

**ჰომეოსტაზი** ოჯახის ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი კანონია, რომელიც გულისხმობს სტაბილურობის შენარჩუნებას.

**განვითარების კანონი** ოჯახის ფუნქციონირების ერთ-ერთი ძირითადი კანონია, რომელიც მოვლენების თანამიმდევრულ მონაცვლეობას უკავშირდება.

**2.**

ა. მეორე ეტაპზე – ახალგაზრდა ოჯახი პატარა შვილით;

ბ. მეოთხე ეტაპზე – ოჯახი სასკოლო ასაკის შვილით;

გ. მესამე ეტაპზე – პირველი შვილის სოციალურ სისტემაში გაშვება;

დ. მეხუთე ეტაპზე – ოჯახი მოზარდი შვილით.

**3.**

ა. ოჯახის თითოეულ წევრს უწევს ძალის მობილიზება და მოთმინების გამოჩენა.

ბ. ოჯახის ეკონომიკური პირობების დაკმაყოფილება მამის მოვალეობა ხდება.

გ. ოჯახის შექმნის პირველ ეტაპზე მიმდინარეობს ახალგაზრდა ოჯახის მშობლების ოჯახიდან ცალკე გასვლა, ახალი ოჯახის შექმნა.

**4.**

ბ. პასუხისმგებლობების გადანაწილება – გარკვეული მოვალეობის, ვალდებულების (ოჯახური ან სხვა სახის) თანაბრად / ერთნაირად შესრულება;

ურთიერთობის ჩამოყალიბება – ურთიერთობის შექმნა/დამყარება. გარკვეული ურთიერთობისთვის კონკრეტული სახის მიცემა;

საფრთხეს უქმნის – საშიშია, სახიფათოა;

ყოფითი საკითხები – ყოველდღიური, ცხოვრებაში არსებული საკითხები;

გავლენას ახდენს – ვინმეზე ზემოქმედებს. ადამიანის ქცევა, რომელიც ცვლის მისდამი სხვა ადამიანების დამოკიდებულებას;

წინა პლანზე წამოწევა – ყურადღების ცენტრში ყოფნა, მნიშვნელოვანი ადგილის დაკავება;

საფრთხის ქვეშ აყენებს – საშიშ/სახიფათო მდგომარეობაში ჩაგდება;

გამონაკლისს წარმოადგენს – რაიმე წესს ან რიგს რომ არ მიჰყვება. სხვებს რომ არ ჰგავს, განსხვავებული.

**5.**

ა.
1. უთანხმოების მოგვარება;
2. პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე იტვირთა;
3. თავშეკავება;
4. გადასაწყვეტი საკითხის მოგვარება, მიზნის მიღწევა.

ბ.
1. მოვალეობის საკუთარ თავზე აღება – პასუხისმგებლობის აღება საკუთარ თავზე;
2. მოთმინების გამოჩენა – ძალისხმევის გამოჩენა;
3. ამოცანის გადაჭრა – პრობლემის გადაჭრა.

**6.**

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| რაც უფრო ასაკოვანია ოჯახი, მით უფრო მეტია უფროსი წევრების ავადმყოფობის ფაქტები. | √ | |
| ოჯახის განვითარების ერთ-ერთ ეტაპზე როგორც შვილების კრიზისული ასაკის, ასევე მშობლების "შუალედური ასაკის კრიზისის". | √ | |
| რაც უფრო ახალგაზრდაა ოჯახი, მით უფრო ნაკლებია კონტაქტი მშობლების ოჯახთან. | | √ |

**7.**

ა. ახალგაზრდა ოჯახი არის ახლადშეუღლებული წყვილი. ამ ეტაპზე მათ უწევთ ერთმანეთის შესწავლა, პასუხისმგებლობის გადანაწილება.

ბ. მეუღლეებს უწევთ ახალი როლის – მშობლის როლის მორგება, დამატებითი პასუხისმგებლობის აღება. ამ ეტაპზე შესაძლოა დედას მოუწიოს სამსახურის დატოვება.

გ. მშობლები შვილს უშვებენ საბავშვო ბაღში, მათ უწევთ ახალ სისტემასთან შეგუება. ამ ეტაპზე შეიძლება დედამ დაიწყოს მუშაობა და მამას მოუწევს ისევ დამატებითი პასუხისმგებლობის აღება.

დ. ამ ეტაპზე მშობლები შვილებს უშვებენ სკოლაში და უწევთ სიახლესთან შეგუება. ამ დროს შეიძლება კონფლიქტი წარმოიშვას მეუღლეებს შორის, რადგან ვერ ხერხდება მოვალეობების თანაბრად გადანაწილება.

ე. შვილის მოზარდობის ასაკში შესვლის დროს მშობლები ეჯახებიან ახალ პრობლემას. კრიზისული ეტაპი აქვთ როგორც მშობლებს, ასევე შვილებს.

ვ. უფროსი თაობის წარმომადგენლები გადიან პენსიაზე. შესაძლოა ოჯახის ცხოვრება დამძიმდეს, რადგან ისინი ხშირად ავადმყოფობენ.

ზ. შესაძლოა შვილმა ოჯახი შექმნას და წავიდეს ოჯახიდან. ამ ეტაპზე მშობლებს ეძლევათ საშუალება, წინა პლანზე წამოწიონ თავიანთი ურთიერთობები.

# თავი III

## ბლოკი 1

**2.**

მთავარი აზრი – ბოინგის ჩამოგდების ფაქტი BBC-დან;

მეორეხარისხოვანი აზრი – პრემიერმინისტრის მისამძიმრება ფეისბუქით;

მეორეხარისხოვანი აზრი – საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ვებგვერდზე;

მთავარი აზრი – საგარეო საქმეთა მინისტრის მისასამძიმრებელი სიტყვა;

მთავარი აზრი – პარლამენტის წუთიერი დუმილი;

მეორეხარისხოვანი აზრი – პარლამენტის თავმჯდომარის კომენტარი.

**3.**

ბორტზე მყოფი მოქალაქეები ⟶ თვითმფრინავის მგზავრები;

განაცხადა ⟶ თქვა;

ვებგვერდზე განცხადება გამოაქვეყნა ⟶ დაწერა საიტზე;

მიმდინარეობს საომარი მოქმედებები ⟶ ომია;

იმის თაობაზე, რომ უნდა ჩატარდეს გამოძიება ⟶ იმაზე, რომ უნდა გაირკვეს სინამდვილე.

**4.**

სხვა ძალების (სიტუაციაში არამონაწილეების) მიერ მათი ქმედებების აღიარება (მიმხრობა).

ვინც დამნაშავეა, ის როგორც საჭიროა, ისე უნდა დაისაჯოს / შესაბამისად უნდა დაისაჯოს.

ერთი წუთი ჩუმად ყოფნით (ხმის ამოუღებლად) პატივი სცეს.

გამოიძიონ, გაარკვიონ, რა გახდა ტრაგედიის მიზეზი.

**5.**

ა. თანაუგრძნობს; ბ. სწერს; გ. უგზავნის; დ. უსამძიმრებს.

## ბლოკი 2

**2.**

1. პრესაში;
2. ბლოგზე, ინტერნეტსივრცეში.

**3.**

| ტექსტი N1 | ტექსტი N2 |
|---|---|
| **ზუსტი ინფორმაცია:** 2014-02-09 10:58:23<br>... თბილისის ზოოპარკის დირექტორის ზურაბ გურიელიძის **თქმით,...** | **დაუზუსტებელი ინფორმაცია:** „შუადღე იყო, სადღაც პირველი ან ორი საათი“<br>... ვიღაც წვერებიანი კაცი ინტერვიუს აძლევდა ტელევიზიას .... |

**5.**

ა. **პირველ შემთხვევაში** ტექსტი ეყრდნობა პრესას;

**მეორე შემთხვევაში** ტექსტი ეყრდნობა მეგობრის მონაყოლს.

ბ. დააზიანეს, გაიქცნენ, ესროლეს, შეაღწია, დაეძინა, დააბრუნეს (1-ლი სერიის წყვეტილის მწკრივი).

გაპარულან, გაქცეულა, დაუჭერიათ (მე-3 სერიის თურმეობითის მწკრივი).

გ. ეს ფორმა გამოხატავს დაუჯერებელ/დაუზუსტებელ მოქმედებას, შედეგი ჩანს და ვხვდებით, რომ რაღაც მოხდა, მაგრამ ზუსტად არ ვიცით, მართლა ასე მოხდა თუ არა.

### ბლოკი 3

**1.**

ყვითელ პრესაში იბეჭდება სკანდალური და სენსაციური ინფორმაცია. მისი სახელი ყვითელპერანგიან ბიჭუნას უკავშირდება, რომელსაც სხვადასხვა სახალისო გამოთქმები და ფრაზები მიეწერებოდა. მის გამო ორ ცნობილ გაზეთს შორის გაუგებრობა მოხდა, მესამე ცნობილმა გაზეთმა კი მათ „ყვითელი პრესა" უწოდა.

**2.**

ყვითელი პრესის წარმოშობა/დავა ყვითელ ბიჭუნაზე...

**3.**

| | სწორია | არასწორია |
|---|---|---|
| 1. ყვითელი პრესა ლონდონიდან იღებს სათავეს. | | √ |
| 2. ყვითელი ბიჭუნას ხატვა ამერიკელმა მხატვარმა ერვინ უორდმენმა დაიწყო. | | √ |
| 3. ტერმინი „ყვითელი პრესა" ერვინ უორდმენის სახელს უკავშირდება. | √ | |
| 4. ორი გაზეთი ერთმანეთს „ყვითელი ბიჭუნას" გამო დაუპირისპირდა. | √ | |
| 5. ამერიკულ საზოგადოებას ძალიან მოსწონდა „ყვითელი ბიჭუნას" პუბლიკაციები. | √ | |

**4.**

ის ნებისმიერი სახის სკანდალებისა და იაფფასიანი სენსაციების ბეჭდვას მოიცავს.

### ბლოკი 4

**1.**

ჟურნალისტური ეთიკის ქარტია არის ჟურნალისტების ქცევის პრინციპები, რომლებსაც იცავენ ჟურნალისტები.

**2.**

ჟურნალისტის მოვალეობაა, საზოგადოებას გააცნო ახალი ინფორმაცია, მნიშვნელოვანი მოვლენები. ეს ყველაფერი კი საზოგადოების უფლებაა, რომ იყოს ინფორმირებული სხვადასხვა მოვლენის შესახებ.

## თავი IV

### ბლოკი 1

**1.**

**მსგავსება:** ისევე, როგორც; მსგავსად;

**განსხვავება:** ვიდრე; განსხვავებით.

**2.**

| მსგავსების გამოხატვა | განსხვავების გამოხატვა |
|---|---|
| ისევე, როგორც...<br>-ის მსგავსად<br>ასევე<br>როგორც..., ასევე ....<br>-ც... | მაშინ, როცა...<br>-ისგან განსხვავებით<br>-თან შედარებით უფრო...<br>პირიქით |

**3.**

ხალხი რეგიონებში უფორ მეტ დროს ატარებს სახლში, ვიდრე თბილისში. თბილისთან შედარებით უფრო ნაკლები ადამიანი დადის რეგიონებში სტუმრად, კონცერტებზე, ბოულინგ ცენტრში და კაფეებში. თბილისის მსგავსად, რეგიონებშიც მოსახლეობის 2%-ია დაკავებული სხვა, დამატებითი გასართობებით.

**6.**

| | |
|---|---|
| *მე მემოგზაურა;* | *ჩვენ გვემოგზაურა;* |
| *შენ გემოგზაურა;* | *თქვენ გემოგზაურათ;* |
| *მას ემოგზაურა;* | *მათ ემოგზაურათ.* |

**ბლოკი 2**

**2.**

გ.

**3.**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მისი საყვარელი თამაში იყო ომობანა. | | | | √ |
| ბავშვობაში ეზოდან ამოსვლა არ უნდოდა. | √ | | | |
| ცდილობს ბავშვობის გამოცდილება გაუზიაროს შვილებს. | | | √ | |
| მოსწონდა ეზოში ბევრ ბავშვთან ერთად ყოფნა და ათასგვარი თამაში. | | √ | | |
| ბავშვებს კომპიუტერთან ურთიერთობის დროს გარკვეულ ლიმიტს უწესებს. | | | √ | |
| მისი დისშვილი კომპიუტერს არ სცილდება. | √ | | | |

**4.**

ა.

| ძველი თამაშების დადებითი მხარეები: | თანამედროვე თამაშების დადებითი მხარეები: |
|---|---|
| ბავშვებს უვითარებს ფანტაზიას;<br>ბავშვი უფრო კონტაქტურია და მეტ დროს უთმობს რეალურ ურთიერთობებს. | ბავშვებს უვითარებს ფანტაზიას;<br>თამაშის საშუალებით ბავშვები ითვისებენ ენას,სწავლობენ თვლას, ანბანს;<br>ბავშვებს ათავისუფლებს აგრესიისგან. |

**ბლოკი 3**

**1.**

| **მეორე კავშირებითი** | **მეორე თურმეობით** |
|---|---|
| დავხარჯო | **დამეხარჯა** |
| **ივარჯიშოს** | ევარჯიშა |
| დათვალო | **დაგეთვალა** |
| | ჩაგვეტარებინა |

**2.**

ა. მაჩვენებელ**თან შედარებით**; **უფრო.**

ბ. **მაშინ, როცა.**

გ. **როგორც**; **ასევე.**

**5.**

გამოკითხვის შედეგად აღმოჩნდა, რომ აფხაზეთში **დამსვენებელთა რაოდენობა 1%-ია.**

ჩატარებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ სამეგრელოში **ისვენებდა 3%**.

განაწილებული მაჩვენებლების მიხედვით ჩანს, რომ მცხეთა-მთიანეთში **მხოლოდ 9%-მა დაისვენა.**

მოცემული სქემის მიხედვით გამოკითხულ რესპონდენტთა უმრავლესობა **ისვენებს აჭარაში.**

**6.**

ტურისტული პოტენციალის ზრდის ხელისშემწყობი ფაქტორები: კარგი ინფრასტრუქტურა, კულტურული ძეგლების რაოდენობა, სასტუმროების რაოდენობა.

ხელისშემშლელი ფაქტორები: მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურა, სასტუმროების რაოდენობის ნაკლებობა, არაინფორმირებულობა.

**ბლოკი 4**

**2.**

თანამედროვე და მოდერნიზებული სისტემა გულისხმობს ერ.ბი.ემ.ბი სისტემას, რომლის დახმარებითაც ტურისტს შეუძლია ონლაინ დაჯავშნოს სასტუმრო.

**3.**

ვიდეოში საუბარია დახურულ აუზზე, სპა ცენრტზე, ბავშვების გართობაზე, ანიმაციაზე.

**4.**

კულტურულ ტურიზმში შედის ქვეყნის ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, კონცერტები.

## თავი V

**ბლოკი 1**

**3.**

- **წრიპინი** – ძალიან წვრილი ხმის გამოცემა. **წრიპინებს;**
- **ჩხავილი** – ზოგი ცხოველის და ფრინველის არასასიამოვნო ხმა; **ჩხავის;**
- **წრუპუნი** – მოკუმული ტუჩებით ჰაერის შესრუტვისას გამოცემული ხმა. **წრუპუნებს.**

**4.**

- **გააჭირა საქმე** – შემაწუხებლად იქცევა / ისე იქცევა, რომ მაწუხებს;
- **აღარაა მისგან საშველი** – აღარაფერი ეშველება;
- **თუ ღმერთი გწამს** – ღმერთის თუ გჯერა;
- **ნუ წაიღე ყურები** – ცუდად უკრავ / არაა სასიამოვნო/ შემაწუხე შენი დაკვრით;
- **კიდევ კარგი** – ძალიან კარგი / კარგია, რომ ასე მოხდა.

**6.**

ინსტრუმენტის ხმა არ მოსწონდათ / არ სიამოვნებდათ /აღიზიანებდათ;

არ იყო ვიოლინისავით აღიარებული ინსტრუმენტი / არ იცოდნენ ამ ინსტრუმენტის შესახხებ.

**ბლოკი 2**

**1.**

ფრანგული პრესა თბილისის ოპერისა და ბალეტის შენობას ახასიათებს, ერთ-ერთ ყველაზე უფრო ელეგანტურ მოხდენილ და წარმტაც სათეატრო ნაგებობად.

**2.**

ა. არქიტექტურული სტილი, რომლისთვისაც დამახასიათებელია არკადები, გუმბათები და მდიდარი გეომეტრიული ორნამენტი.

ბ. მავრიტანულს მიმსგავსებული.

**3.**

ისეთი განსაკუთრებული ფერწერის ტექნიკით იყო შექმნილი, რომ ყველას თვლას სჭრიდა. ნამდვილ ფარდას ჰგავდა და ვერავინ წარმოიდგენდა, თუ ეს ტილოზე შესრულებული ნახატი იყო. შენობის სავიზიტო ბარათად ითვლებოდა.

**4.**

ა. ძალიან ლამაზი;

ბ. კულტურისთვის ძალიან მნიშვნელოვანი ნაგებობა, რომლელიც თაობებს გადაეცემა;

გ. მუდმივი მტერი / მტერი, რომელიც არ გასვენებს;

დ. ძალიან კარგად / სერიოზულად  გადაკეთდა; ძალიან კარგად/ სერიოზულად  შეცვალეს;

ე. მზად იქნება მიიღოს სტუმრები / მაყურებლები.

### ბლოკი 3

**1.**

ეთნოგრაფიული მუსიკა – ფოლკლორული მუსიკა, რომელიც გამოხატავს ამა თუ იმ ხალხის, ერის ისტორიასა და კულტურას.

სოციალურად აქტიური მუსიკა არის თანამედროვე მუსიკა, რომელიც გამოხატავს სოციალურ მუხტს, საზოგადეობის სოციალურ პრობლემებს, პოზიციებსა და დამოკიდებულებებს.

**4.**

ავტორი ირაკლი ჩარკვიანსა და მის შემოქმედებაზე ფიქრობს, რომ იგი არის ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი შემსრულებელი, რომლის სიმღერებიც არ კარგავს აქტუალობას იმის გამო, რომ ირაკლი ჩარკვიანის სიმღერები სოციალური ჟღერადობისაა.

**5.**

| დათანხმება | ნაწილობრივ დათანხმება | უარყოფა |
|---|---|---|
| ვეთანხმები;<br>ვფიქრობ, თქვენ მართალი ხართ. | ნაწილობრივ ვეთანხმები;<br>ერთი მხრივ ვეთანხმები, მეორე მხირვ – არა;<br>ნაწილობრივ ვიზიარებ თქვენს შეხედულებას. | არ ვეთანხმები;<br>არ ვიზიარებ თქვენს მოსაზრებას;<br>ვეწინააღმდეგები თქვენს აზრს;<br>ვფიქრობ, თქვენ ცდებით;<br>კატეგორიულად ვეწინააღმდეგები თქვენს ხედვას ამ საკითხთან დაკავშირებით;<br>მიუღებელია ეს აზრი. |

### ბლოკი 4

**2.**

ისევე, როგორც ძმებმა გრიმება შეაგროვეს და ხალხისთვის გასაგებ ენაზე დაწერეს ზღაპრები, სუხიშვილებმაც იგივე გააკეთეს ქართულ ცეკვებთან დაკავშირებით.

**3.**

ა. მე-19 საუკუნის ინგლისში მივიწყებას მიცემული საშობაო ტრადიციების მსგავსად, რომ არა დიდი მწერლის, ჩარლზ დიკენსის საშობაო ნოველა, „საშობაო სიმღერა", შესაძლოა, ევროპაში სულაც არ ყოფილიყო შობა ისეთი მოვლენა, როგორიც დღეს არის.

ბ. სუხიშვილები სახელგანთქმული ავტომობილების მწარმოებელი ამერიკული კომპანია „ფორდის" მსგავსი ცნობილი ბრენდია.

გ. ისეთი სახე მისცეს ეთნიკურ ცეკვებს, რომ მათ, ეთნოგრაფების მსგავსად, ხალხშიც გამოეწვია აღტაცება.

**4.**

ა. არავინ იცის, რა გზით წვიდოდა/ როგორი იქნებოდა ქართული ცეკვა, მასზე ილიკოსა და ნინოს რომ არ ეზრუნათ.

ბ. სტივმა უდიდესი საქმე გააკეთა იმ მხრივ, რომ კომპიუტერი ხალხამდე მისულიყო.

## თავი VI

### ბლოკი 1

**1.**

ერთ-ერთი მიზეზი არის ის, რომ მანამდე საკომუნიკაციო ენა იყო რუსული. სახელმწიფოს მხრიდან, ქართული ენის შესწავლის საკითხთან დაკავშირებით გადადგმული ნაბიჯები მოკრძალებული და არაეფექტიანი აღმოჩნდა.

**3.**

ა. ეროვნული გაერთიანების გაძლიერება.

ბ. კანონიერი უფლება / ის, რისი უფლებაც გაქვს კანონით.

გ. მოქალაქე, რომელსაც სრული უფლება აქვს ქვეყანაში ცხოვრების.

### ბლოკი 2

**1.**

აძლევდნენ მიწას, ფულად დახმარებას, რელიგიური აღმსარებლობის თავისუფლებას და ათავისუფლებდნენ სამხედრო ვალდებულებისგან.

**2.**

ლუთერანები; ლუთერანული ეკლესია, კირხა.

**3.**

ამ ქალაქში დღესაც შეხვდებით გერმანული ყოფითი არქიტექტურის ნიმუშებს ყველა დასახლებაში. მათ შორის ბოლნისში დღემდე შემორჩა გერმანელების მიერ დაგეგმარებული რამდენიმე მთავარი ქუჩა, რომლებიც ერთმანეთს პერპენდიკულარულად უფრო ვიწრო ქუჩებით უერთდებიან. გერმანელები სახლებს ნათალი ქვით აგებდნენ და ხის ვერანდებითა და აივნებით რთავდნენ. პრაქტიკულად ყველა სახლს ჰქონდა განსაკუთრებულად დიდი მარანი.

**4.**

კირხა – ლუთერანული ეკლესია, სადაც გერმენელი დადიოდნენ სალოცავად.

მარანი – ადგილი, სადაც გერმანელები ღვინოს ინახავდნენ.

სხვენი – ადგილი სახლის ჭერსა და სახურავს შორის. მას სოფლად იყენებენ სხვადასხვა რამის შესანახად.

**ბლოკი 3**

**1.**

ევროპელი ებრაელები უფრო განათლებულები და მატერიალურად უფრო შეძლებულები იყვნენ, ვიდრე ქართველი ებრაელები.

**2.**

პარადოქსი, რომელზეც ლელა წიწუაშვილი საუბრობს არის ის, რომ მან ვერ გაიგო, რატომ იყვნენ ევროპაში წნეხის ქვეშ მყოფი ებრაელები უფრო განვითარებულები, განათლებელები და რატომ ვერ შეძლეს მათ განვითარება საქართველოში, სადაც ცხოვრობდნენ თავისუფლად.

**3.**

თორაში არის 613 მიცვა, მითითება. იდიალური ბროწეულის ნაყოფშიც არის **613** მარცვალი, სწორედ ეს ციფრი აკავშირებს თორასა და ბროწეულს სიმბოლურად.

**4.**

ა. ვიღაცის ზეწოლის ქვეშ ყოფნა / გავლენის ქვეშ ყოფნა.

ბ. არასრულყოფილი ინფორმაცია / ცოტა ინფორმაცია.

გ. ჯერ არ დამიმთავრებია / არ დამისრულებია.

**ბლოკი 4**

**1.**

ა. მულტიკულტურალიზმი გულისხმობს, რომ ეთნიკურ უმცირესობებს საშუალება ეძლევა, იცხოვრონ ზეწოლის გარეშე, თავიანთი ადათ-წესების მიხედვით. ევროპაში მცხოვრებ ეთნიკურ უმცირესოებებს არ აძლევენ ამის უფლებას. ანუ ზეწოლის ქვეშ აქცევენ. განსხვავებული კულტურის მქონე ერის წარმომადგენლებს არ შეუძლიათ გვერდიგვერდ თანაცხოვრება. ამერიკაში განსხვავებული კულტურის მქონე ერის წარმომადგენლები თანაცხოვრობენ, წარმოადგენენ საკუთარი კულტურისათვის დამახასიათებელ ნიშნებს და ერთმანეთს უზიარებენ მათ.

**2.**

ა. **„სასალათე ჯამი“** გულისხმობს, რომ ნებისმიერი ეთნოსის წარმომადგენლები არიან თანაბარ პირობებში და ისინი ინარჩუნებენ ტრადიციებს.

**„მოსახარში ქვაბი“** გულისხმობს, რომ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლები ვერ ინარჩუნებენ ტრადიციასა და კულტურას, ირევიან ერთმანეთში.

www.geofl.ge